ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4471905

ნომერი: AR1674611

თარიღი : 16.04.2019

გაცემის თარიღი : 22.04.2019

გაცნობის თარიღი : 22.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის , N31-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 29 ; ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა კალანდაძე პ/ნ 01005007496
- ქ.თბილისი, პასტერის ქ, #5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _

-საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება შეზღუდვა: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე, საჭიროა მოიხსნას აღნიშნული, რომ ამონაწერში აღარ ფიქსირდებოდეს. დაცულ იქნას სერვიტუტი.

-ვინაიდან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულია №003389 (12.04.2018წ.) მითითება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე საჭიროა დამატებით ფაილში ატვირთოთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ან შესაბამისი ჯარიმის შეწყვეტის აქტი.

-გაითვალისწინეთ, რომ დაუშვებელია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ში ღობის მშენებლობა, იხ. დანართი და დოკუმენტაცია დააკორექტირეთ აღნიშნულის გათვალისწინებით.

-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად – მიწის ნაკვეთი შეიძლება შემოიღობოს არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან, ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 1,8 მეტრს.

იმ შემთხვევაში თუ ღობის მოწყობა ხდება საყრდენ კედელზე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას საყრდენი კედლის მოცულობის დაანგარიშება. აქვე გაითვალისწინეთ, I კლასს განეკუთვნება: 20 მ2-მდე მოცულობის, 10 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა.

-ასევე, ვინაიდან მიწის ნაკვეთზე გადის ხაზოვანი ნაგებობა ს.კ.N 01.00.287 მილსადენი (მესაკუთრე - სახელმწიფო), შესაბამისად წარმოსადგენია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.